პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1974 წ. №78 (5108) 20 აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

HELSINKI 5.-20.4.1974

## გაფიცვა დამთავრდა! ფრეც ჰყოფნის

ჰელსინკი, 17 აპრილი. როგორც იქნა, დამთავრდა ფინეთის რადიოსა და ტელევიზიის ტექნიკური პერსონალის გაფიცვა. საბჭოთა ტელემაყურებლებსა და რადიომსმენელებს საშუალება ჰქონდათ ენახათ და მოესმინათ დღეს გამართული ორი მატჩი.

პირველად „იაჰალის“ ყინულის სარბიელზე შვეციისა და გდრ-ის ჰოკეისტები გამოვიდნენ. პირველ პერიოდში, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, შვედებმა მხოლოდ ორჯერ შეძლეს წარმატების მიღწევა (ლუნდსტრიომი და ჰედბერგი) და თან ბოლო წუთზე საკუთარ კარშიც გაუშვეს შაიბა (ჰუშტო).

მეორე პერიოდში ჯერ გერმანელმა სლაპკემ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ შემდეგ შვედებმა ს. კარლსონმა, ლუნდსტრიომმა და ბ. იუჰანსონმა ზედიზედ სამი შაიბა გაიტანეს მეტოქის კარში. ამის შემდეგ ჰუშტომ კვლავ შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ ეს იყო და ეს.

მესამე პერიოდში ბრასარმა, ჰედბერგმა, ლუნდსტრიომმა და კვლავ ჰედბერგმა დააგვირგვინეს შვეციის ნაკრების წარმატება — 9:3.

შემდეგ ფინელებმა პოლონეთის ნაკრებს მოუგეს — 6:2 (1:0, 3:2, 2:0). პოლონელებმა საკმაოდ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ...

პირველ პერიოდში ფინელებმა ერთადერთი „მშრალი“ გოლი გაიტანეს.

მეორე პერიოდში აჰოკაინენის მიერ მე-11 წუთზე გატანილი შაიბა პოლონელმა ვაჩიკმა ორ წუთში გაქვითა და მანვე მე-17 წუთზე კიდევ ერთი გოლი გაიტანა. მე-15 და მე-20 წუთებზე კი ლეპიამ და ი. პელტონენმა ანგარიში ოთხამდე გაზარდეს.

მესამე პერიოდში ტამინენმა და ლინონმაამ კიდევ ორი გოლი გაიტანეს პოლონელთა კარში.

ჰელსინკი, 18 აპრილი. დღევანდელი დღე ფაქტიურად გადამწყვეტი იყო: ერთმანეთს შეხვდნენ „შესანიშნავი ოთხეულის“ წარმომადგენლები. ყინულზე ჯერ ლიდერები — ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. გამარჯვების შემთხვევაში ჩეხოსლოვაკიელები მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები ხდებოდნენ. მოგება საბჭოთა ნაკრებსაც არანაკლებ სჭირდებოდა და ამიტომ ბრძოლა თავიდანვე უშელავათო იყო. მე-4 წუთზე ი. ჰოლიკმა შესანიშნავად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და ახლოდან დარტყმით ანგარიშიც გახსნა. პირველმა პერიოდმა დაძაბულად განვლო, მაგრამ გოლი აღარ გასულა. ასევე გრძელდებოდა მეორე პერიოდშიც, სანამ საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა მიხაილოვმა ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ შაიბა მეტოქის ცარიელ კარში არ მოათავსა. ეს მე-14 წუთზე მოხდა. ერთი წუთის შემდეგ იაკუშევმა გარღვევა შორიდან უძლიერესი და ულამაზესი დარტყმით დააგვირგვინა. პერიოდის დამთავრებას 36 წამი აკლდა, როცა მალცევმა კიდევ ერთი შაიბა გაიტანა ჰოლეჩეკის კარში.

მესამე პერიოდი ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობდა, ორივე გუნდს ანგარიშის შეცვლის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ასეთ მომენტებში ბრწყინვალედ ითამაშეს მეკარეებმა (განსაკუთრებით კი საბჭოთა გუნდის კარის მცველმა ტრეტიაკმა) და ანგარიში არ შეცვლილა — 3:1 (0:1, 3:0, 0:0).

ბოლო მატჩში შვეციის ეროვნულ გუნდთან სსრ კავშირის ნაკრებს ჩემპიონობის შესანარჩუნებლად ფრეც ჰყოფნის.

მეორე შეხვედრაში III ადგილის ბედი გადაწყდა: შვეციის გუნდმა ფინელები დაამარცხა და ბრინჯაოს მედლებსაც ის მიიღებს.

პირველმა პერიოდმა თანაბარ ბრძოლაში განვლო და მხოლოდ შვედმა პეტერსონმა შეძლო ერთადერთი შაიბის გატანა.

მეორე პერიოდის დასაწყისში ჰედბერგმა, ლუნდსტრიომმა და კვლავ ჰედბერგმა ანგარიში ოთხამდე გაზარდეს, მაგრამ შემდეგ ფინელებმა ლეპიამ და ოქსანენმა ისევ შეამცირეს სხვაობა.

მესამე პერიოდში ჰედბერგმა თავისი მესამე შაიბა გაიტანა ამ მატჩში, ხოლო ლუნდსტრიომმა — მეორე, და მატჩიც ასე დამთავრდა — 6:2 (1:0, 3:2, 2:0).

● ●

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 9 | 8 | 0 | 1 | 61:17 | 16 |
| ჩეხოსლოვაკია | 9 | 7 | 0 | 2 | 53:15 | 14 |
| შვეცია | 9 | 5 | 1 | 3 | 37:21 | 11 |
| ფინეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 29:35 | 8 |
| პოლონეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 19:61 | 3 |
| გდრ | 9 | 1 | 0 | 8 | 18:68 | 2 |

## კოლექტიური თამაშის შეძლებიათ

ორი დღეა კიროვის სახელობის პარკის სპორტული მოედანი „სახელბურთო ციებ-ცხელებამ“ შეიპყრო: „ა“ კლასის I ჯგუფის ხელბურთელ ქალთა რვა გუნდმა სსრ კავშირის პირველობის მეორე ტურის შეხვედრები დაიწყო.

პირველი დღის შეხვედრათა შედეგებს უკვე ვიტყობინებოდით. ახლა დავუმატებთ, რომ თბილისის „ბურევესტნიკმა“ კრასნოიარსკის „ცვეტმეტთან“ შეხვედრაში დიდხანს ვერაფერი მოუხერხა ტანმაღალ მეტოქეთა შეტევებს, მაგრამ ტაიმის მიწურულს ნ. არაბოვას და დ. გეფერიძის წყალობით შეძლო დაწინაურება. შესვენების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო და მათ სძლიეს ძლიერ მეტოქეს ანგარიშით 21:17. თბილისელთაგან საუკეთესო იყო არაბოვა — 11 ბურთი, დამარცხებულთაგან კი — ლ. ნიკიტენკო — 10 ბურთი.

მეორე დღეს თბილისელთა წინააღმდეგ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი, ბერეგოვოს „კოლოსი“ გამოვიდა. მით უფრო სასიხარულოა თბილისელთა გამარჯვება. აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ პირველ მატჩში თბილისელები ძირითადად ინდივიდუალური შეტევების წყალობით აღწევდნენ წარმატებას, ამ მატჩში მათ კოლექტიური თამაშის ოსტატებად გვავაცნეს თავი და სავსებით დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს — 21:13.

კვლავ შესანიშნავად ითამაშა არაბოვამ, რომელიც მ. აკოფიანთან ერთად მატჩის საუკეთესო ბომბარდირი იყო. თითოეულმა 6 ბურთი გაიტანა. გეფერიძის აქტივშია 5 ბურთი. დამარცხებულთაგან ყველაზე მეტი გოლი (5) გაიტანა ლ. ზადირაკამ.

მეორე დღის მატჩებში სენსაციური არაფერი მომხდარა: ძლიერებმა დაამარცხეს სუსტები. ერთნაირი ანგარიშით (18:14) კრასნოიარსკის „ცვეტმეტმა“ სძლია ვილნიუსის „შვიესას“, ხოლო ალმა-ათის „ბურევესტნიკმა“ — ერევნელ თანაკლუბელებს. ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდმა მოუგო სვერდლოვსკის „კალინინეცს“ — 22:15.

გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ, ხოლო დღეს შედგება მესამე ტურის შეხვედრები.

ა. მხეიძე.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისთვის

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ბურევესტ.“ (თბ.). | 2 | 0 | 0 | 42:30 | 4 |
| მეტალ. ინსტიტუტი | 2 | 0 | 0 | 44:34 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) | 1 | 0 | 1 | 37:36 | 2 |
| „ცვეტმეტი“ | 1 | 0 | 1 | 35:35 | 2 |
| „კოლოსი“ | 1 | 0 | 1 | 35:38 | 2 |
| „შვიესა“ | 1 | 0 | 1 | 31:34 | 2 |
| „კალინინეცი“ | 0 | 0 | 2 | 31:39 | 0 |
| „ბურევესტ.“ (ერ.). | 0 | 0 | 2 | 31:40 | 0 |

## ორი ლიდერი

კასპში მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა XXV პირველობა რუსულ შაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ პერსონალურად მიწვეული ოსტატები თენგიზ ბარამიძე (ფოთი), ს. პახლაჯიანი, ოსტატობის კანდიდატი ა. ბერუაშვილი (ორივე — თბილისი) და 11 მოშაშე ნახევარფინალიდან.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ბერუაშვილი, ზ. კოკოევი (ცხინვალი) — 5-5 ქულა, მ. მინკო (გროდნო, თამაშობს უკონკურსოდ) — 4,5, ბარამიძე — 4, გ. კურდღელია (ფოთი), ჯ. თედორაძე (ბათუმი) — 3,5-3,5, ს. პახლაჯიანი, ვ. პავლიაშვილი (კასპი) — 3-3.

I ტურში მთავარი ფავორიტების — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ ბარამიძისა და თბილისის მრავალგზის ჩემპიონ ბერუაშვილის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მერე ბერუაშვილმა სძლია რ. ბარკალაიას (ფოთი), პავლიაშვილს, ა. ყაზარაშვილს (კასპი), ც. ცაბუტაშვილს (რუსთავი) და დაუზავდა პ. კუჩეროვს (თბილისი).

წარმატებით თამაშობს გამოცდილი ოსტატობის კანდიდატი კოკოევიც, რომელმაც მოუგო ბარკალაიას, ყაზარაშვილს, ცაბუტაშვილს, კურდღელიას, ყაიმზე შეუთანხმდა პავლიაშვილსა და კუჩეროვს.

მშვიდობიანადაა განწყობილი რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი, ექიმი ბარამიძე, რომელმაც მხოლოდ ორი შეხვედრა (პავლიაშვილთან და ფოთელ მ. ტყებუჩავასთან) მოიგო, დანარჩენები კი ყაიმით დაამთავრა.

პირველობის უხუცესი მონაწილის პახლაჯიანის თამაშს აშკარად ემჩნევა პრაქტიკის უქონლობა. პახლაჯიანს 6 წელია პირველობაში არ უთამაშია და ამიტომ მხოლოდ 3 ქულა აქვს.

პ. სერგიაშვილი.

კასპი.

ფეხბურთი

## დაუძლეველი წინააღმდეგობა
## ● ●
## ყიფიანის ერთადერთი გოლი

ზენიცა, 18 აპრილი. იუგოსლავიის პრესა ვრცელ კომენტარს უკეთებს საერთაშორისო მატჩს იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც აქ შედგა გუშინ.

საქმე ისაა, რომ იუგოსლავიელებს ახლა ძლიერი გუნდი ჰყავთ და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებაშიც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. მათი ამასწინანდელი წარმატება გადამწყვეტ მატჩში ესპანეთის ნაკრებთან სათანადოდ იქნა აღნიშნული სპეციალისტთა მიერ, მაგრამ აგერ უკვე 22 წელია იუგოსლავიის ფეხბურთელებმა ვერაფერი მოუხერხეს საბჭოთა ნაკრებს, თუმცა მათ შორის ხშირად იმართება შეხვედრები სხვადასხვა დონეზე.

ახლაც, ამ მატჩში, რომელსაც იუგოსლავიელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, წარმატება საბჭოთა ნაკრებს ხვდა — 49-ე წუთზე ყიფიანის მიერ გატანილი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ოლშანსკი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, ტროშკინი, კონკოვი, ვერემეევი (კოლოტოვი), იშტოიანი (ონიშჩენკო), ფედოტოვი (ყიფიანი — 46-ე წუთი, მ. მაჩაიძე — 69-ე წუთი), ბლოხინი.

გაზეთ „პოლიტიკას“ სპორტული მიმომხილველი რ. სტანოევიჩი აღნიშნავს, რომ სტუმრები უფრო ძლიერი იყვნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს კონტრიერიშებზე აგებული ტაქტიკის წყალობით. იგივე სტანოევიჩი მაღალ შეფასებას აძლევს იუგოსლაველთა თამაშსაც.

ტ. ბულია „სპორტში“ წერს: იუგოსლაველებმა ლამაზად ითამაშეს, თუმცა, დაივიწყეს, რომ ფეხბურთში საბოლოო მიზანს გოლი წარმოადგენს. იგი აღნიშნავს საბჭოთა ნაკრების მცველთა მოფიქრებულ თამაშსაც.

მატჩის შემდეგ იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა მ. მილიანიჩმა განაცხადა, რომ მატჩი მისი გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იყო.

მოგვყავს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების ყველა შეხვედრის შედეგები:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1952 | 20. VII | ტამპერე | 5:5 |
| 1952 | 22. VII | ტამპერე | 1:3 |
| 1956 | 8. XII | მელბურნი | 1:0 |
| 1960 | 10. VII | პარიზი | 2:1 |
| 1962 | 31. V | არიკა | 2:0 |
| 1964 | 22. XI | ბელგრადი | 1:1 |
| 1965 | 4. IX | მოსკოვი | 0:0 |
| 1966 | 18. IX | ბელგრადი | 2:1 |
| 1969 | 24. IX | ბელგრადი | 3:1 |
| 1970 | 28. X | მოსკოვი | 4:0 |
| 1972 | 3. IV | ბელგრადი | 0:0 |
| 1972 | 13. V | მოსკოვი | 3:0 |
| 1974 | 17. IV | ზენიცა | 1:0 |

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს პირადი ჩემპიონატის მსვლელობას საგულდაგულოდ ადევნებდა თვალს სპეციალისტთა სამეული — უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჭიდაობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. სალარაძე (მარცხნივ), საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ამ ჩემპიონატის მთავარი არბიტრი ა. გვიმრაძე (შუაში) და საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ჭიდაობაში, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. კუხიანიძე. მათი მთავარი საზრუნავი ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლინება იყო. მარცხენა სურათზე: 68 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შეხვედრის მომენტი. რუსთაველ ო. მაისურაძეს კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს თბილისელი გ. კოტოშაძე. ხიდურის საიმედოობას გულმოდგინედ ამოწმებს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ჯ. დავლიანიძე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.





(ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-2 გვ.).

# კ ა რ დ ა კ ა რ

## ანუ ერთი ორგანიზაციული წინდაუხედაობის შედეგები

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს პირად ჩემპიონატს, რომელიც ამ დღეებში თბილისის ფალავანთა კლუბში ჩატარდა, სპეციალისტთა უმრავლესობა სამაგალითოდ მიიჩნევს. ჩვენც სიამოვნებით ვუერთდებით ამ აზრს და დავსძენთ, რომ ჩემპიონატის ნორმალურ მსვლელობას ხელი შეუწყო მთელი აქტივის თავდადებულმა, მუყაითმა და უანგარო შრომამ. ფალავანთა კლუბში სამი დღის მანძილზე ჭეშმარიტად საზეიმო განწყობა სუფევდა. მაყურებელთა სიმრავლე, ზუსტი, ობიექტური მსაჯობა, მწვრთნელთა ერთსულოვნება (რაც, სამწუხაროდ, სპორტში ასე იშვიათია), სპორტსმენთა მონდომება ამ შეჯიბრების მთავარი ღირსებაა და მას სულითა და გულით მივესალმებით.

მაგრამ ერთია ჩვენი დამოკიდებულება ტურნირისადმი, ასე ვთქვათ, მხოლოდ ემოციური მხარე, სულ სხვაა შეჯიბრების ობიექტური მონაცემები, რომლებშიც ვგულისხმობთ არა მარტო მონაწილეთა ტექნიკურ, ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებას ან მწვრთნელთა მუშაობის ხარისხიანობას, არამედ ორგანიზაციულ მხარესაც. ყოველმხრივ იდეალური ტურნირი ალბათ არც არსებობს ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მის მოწყობაში ცოცხალი ადამიანები მონაწილეობენ, ცოცხალი ადამიანი კი, მოგეხსენებათ, შეცდომისგან დაზღვეული არ არის. მაგრამ შეჯიბრების ჩატარების კულტურა ან, უფრო ზუსტად, მისი ორგანიზაციული დონე, მაინც უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიგვაჩნია. ამიტომაც ერთი ორი სიტყვა უეჭველად უნდა ვთქვათ.

თავდაპირველად რამდენიმე შეკითხვა სპორტსმენების, მწვრთნელებისა და რაიონების ჭიდაობის მესვეურთა მიმართაც დაგვებადა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, დროზე შევიკავეთ თავი და პირში წყალი ჩავიგუბეთ. კიდევ კარგი, თორემ უსათუოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით.

კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი? — იკითხავს ალბათ გაკვირვებული მკითხველი.

ორჯონიკიძის რაიონის მოჭიდავეთა მონაწილეობა რესპუბლიკურ ჩემპიონატში უდავოდ მისასალმებელია. ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ იქაურ მწვრთნელთა მუშაობაზე, სამწუხაროდ, ვერც ავს ვიტყვით და ვერც კარგს, ვინაიდან შეჯიბრების წინა ღამე მათ თავიანთ სპორტსმენებთან ერთად ქალაქში ხეტიალს მოანდომეს — ღამის გასათევ ადგილს ეძებდნენ.

გორისა და ზესტაფონის მოჭიდავეებს ბედმა შემთხვევით გაუღიმა. ვილაცამ უკვე სახეტიალოდ განწირულ სპორტსმენებს „განთიადის" დარბაზის გასახდელში ცხოვრება ურჩია. კაცმა რომ თქვას, ღია ცის ქვეშ ღამის თევას ისევ გასახდელში ძილი სჯობს. კეთილი და ბრძენი კაცი გამოდგა ის მრჩეველი: 15 საწოლზე „მოხერხებულად" განლაგდა 22 სპორტსმენი და ხვალინდელი დღის მოლოდინში ტკბილ სიზმრებს მიეცა. სივიწროვეს ვილა ჩიოდა, როცა თავს ზემოთ კაპიტალური ჭერი იყო და გაზაფხულის ქარისგან გასახდელს ოთხი ყრუ კედელი იცავდა. ამ გაჭირვებამ გორისა და ზესტაფონის მოჭიდავეები დაამეგობრა კიდეც. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

მაშ ასე, შეჯიბრების წინა დღეები კარდაკარ სიარულს მოუნდა. ამ სიარულში ზოგმა მეტი მოახერხა და, ასე გასინჯეთ, სასტუმროსაც კი შეაფარა თავი, ზოგი ნათესავებთან გაჩერდა, ზოგმა, გორელებისა და ზესტაფონელებისა არ იყოს, „ეშმაკური" გამოსავალი ნახა, ხოლო ისინი, ვინც თბილისის ახლომახლო ცხოვრობდა, უეცრად მოგზაურებად გადაიქცნენ: შეჯიბრების წინ ჩამოდიოდნენ ქალაქში, ღამით კი შინ ბრუნდებოდნენ. ასე გაუთავებელ მგზავრობაში გაატარეს მთელი ტურნირი რუსთავისა და მცხეთის მოჭიდავეებმა.

მოდი და ამის შემდეგ იმსჯელე სპორტსმენთა მომზადების დონეზე! როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა და საყვედური უთხრა მწვრთნელს ან სპორტსმენს, როცა მათი ყურადღება გარეშე ამბებით ყოფილა დაკავებული?

ამა წლის 9 იანვარს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა საქართველოს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, რომელშიც მთლადაა ნათქვამი, რომ 11-14 აპრილს თბილისში ჩატარდება რესპუბლიკის პირადი ტერიტორიული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ესე იგი, სამი თვით ადრე უკვე ცნობილი იყო, რომ თბილისში ჩამოვიდოდა რაიონებისა და ქალაქების 100-მდე მოჭიდავე (დანარჩენი მონაწილენი ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ და, ცხადია, მათი ბინებით უზრუნველყოფა პრობლემას არ წარმოადგენდა). და სტუმრების დაბინავებისთვის დროულად უნდა ეზრუნათ.

გაზაფხული ჩვენს დედაქალაქში ტურისტული სეზონის გამოცოცხლების პერიოდია და, ცხადია, სასტუმროები ერთიორადაა გადატვირთული. მაგრამ გაზაფხული იყო შარშანაც, შარშანწინაც, იმის წინაც და წლეულს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, კარგად ვიცოდით, რომ აპრილში ძნელი იქნებოდა სასტუმროებში თავისუფალი ადგილების შოვნა, თუ თადარიგს დროით არ დავიჭერდით. თუ არა და... მაშინ საერთოდ უარი უნდა გვეთქვა ჩემპიონატის თბილისში ჩატარებაზე. დარწმუნებული ვართ, საქართველოს უძლიერეს მოჭიდავეებს ყველგან ფართოდ გაუღებდნენ კარს და ღირსეულადაც შეხვდებოდნენ.

ამ არანორმალურმა, ყოვლად გაუმართლებელმა ფაქტმა, თუ გნებავთ, ორგანიზაციულმა სიბეცემ და წინდაუხედაობამ ჩვენი გულისტკივილი ერთიორად გააღრმავა იმიტომაც, რომ, ვიმეორებთ, სხვა მხრივ ჩემპიონატი დასამახსოვრებელი იყო. აი, თურმე რა ადვილად, ერთი ხელის მოსმით შეიძლება წყალში ჩაიყაროს დიდი მონდომება და კეთილი სურვილები.

ერთი ორი, ზოგადი ხასიათის შენიშვნა მაინც უნდა გამოვთქვათ იმ რაიონების მისამართით, რომლებმაც არ ისურვეს ჩემპიონატში მონაწილეობა. ყველაზე მეტად უნდა ვუსაყვედუროთ კახეთის რაიონებს, სადაც ბევრია მაღალი კლასის ათლეტი და სადაც განსაკუთრებით უყვართ ჭიდაობა.

მაგალითისთვის, ვფიქრობთ, საგარეჯოს რაიონიც კმარა. აქ უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჭიდაობის სპეციალიზებულ რესპუბლიკურ სკოლას ჯგუფებიც კი ჰქონდა გახსნილი, მაგრამ ეს ჯგუფები მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. საგარეჯომ რატომღაც ზურგი შეაქცია თავისუფალ ჭიდაობას და ჯგუფებიც, ცხადია, დაიხურა. ახლა ამბობენ რაიონში საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრაო. თუ ეს მართალია, გულითა და სულით მივესალმებით ენთუზიასტთა პირველ ნაბიჯებს, მაგრამ დღესდღეობით სავსებით სამართლიანად ვიმკით ამ უმოქმედობის ნაყოფს — საგარეჯოს არც ამ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე გამოუგზავნია მოჭიდავენი.

როგორც მოველოდით, ტურნირმა რამდენიმე ახალი გვარი დაასახელა. ახალგაზრდებიდან უნდა გამოვყოთ სოხუმელები მ. ბადრუდინოვი (68 კგ) და ი. ბუბაშვილი (90 კგ), თბილისელები ჯ. ბერაძე (57 კგ), რ. შამოევი (62 კგ), თ. ლომიძე (82 კგ). ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად ისიც მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდნენ ჩვენი [illegible] — ფალავნები ნ. მოდებაძე, [illegible], ა. ილურიძე, ი. [illegible], [illegible], გ. დგებუაძე...

ნ. გუგუშვილი.

• • •

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. გ. აბსავა (სოხუმი), 2. გ. შევიაკოვი (რუსთავი), 3. ო. ქელეხსაევი (თბილისი).

52 კგ. 1. ა. სულაქველიძე (ქუთაისი), 2. თ. მიქელაძე, 3. გ. ბაკაშვილი (ორივე — თბილისი).

57 კგ. 1. მ. ჩხაიძე (მცხეთა), 2. ბ. პლატონოვი, 3. ჯ. ბერაძე (ორივე — თბილისი).

62 კგ. 1. ი. ლეგაშვილი, 2. რ. დობორჯგინიძე (ორივე — თბილისი), 3. ვ. ზარელუა (სოხუმი).

68 კგ. 1. გ. დგებუაძე, 2. რ. მელაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ო. მაისურაძე (რუსთავი).

74 კგ. 1. ტ. როსტომაშვილი, 2. ა. ხოხაშვილი, 3. მ. ბესტავაშვილი (ყველა — თბილისი).

82 კგ. 1. კ. სუთიაშვილი, 2. ზ. ახმედოვი, 3. ო. ყაჭაშვილი (ყველა — თბილისი).

90 კგ. 1. ა. ილურიძე, 2. ა. ავხაჯანიშვილი (ორივე — თბილისი), 3. ვ. მიქელაძე (ბათუმი).

100 კგ. 1. მ. ცნობილაძე (თბილისი), 2. რ. ხუტაბა (სოხუმი), 3. თ. ბენდიანაშვილი (თბილისი).

მძიმე. 1. ნ. მოდებაძე, 2. ა ჭუაძე (ორივე — თბილისი), 3. ზ. მჭედლიძე (ქუთაისი).

## რაიონებში სპორტისთის

### ასპინძა

რაიონის მოშაშეთა პირველობაში ჩემპიონები გახდნენ: ვაჟთა შორის — ი. რიჟაძძე (საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი), ქალთა შორის — დ. ზედგენიძე (ძველის საშუალო სკოლის მოსწავლე), ჭაბუკთა შორის — ზ. ხიხალაშვილი (ასპინძის საშუალო სკოლა), გოგონათა შორის — ც. მაღრაძე (ნაქალაქევის საშუალო სკოლა).

ვ. ცინაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

### სამტრედია

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მასპინძლებმა არავის დაუთმეს. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბ. მელაშვილი, ა. გიგინეიშვილი, თ. მიქაძე, ო. გიქოშვილი, რ. გარნოვსკი, მ. გულბანი, გ. მუკბანიანი, ი. წაქაძე, ქ. ვეკუა და ბ. მეშველიანი. დაკომპლექტდა ნაკრები გუნდიც, რომელიც რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა II თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

• • •

დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 14 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში კვლავ ისახელეს თავი დიდი ჯიხაიშის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის — დ. დუნდუა, ვაჟთა შორის — ა. მაჩიტიძე.

ჯ. ვაშაკიძე.

### გურჯაანი

სამტრესტის მუკუზნის საწარმოო გაერთიანების მოჭადრაკეთა გუნდმა (მღვინე ი. ხელაშვილი, მუშები ე. შიოშვილი, შ. ძამუკაშვილი) გაიმარჯვა „განთიადის" რაისაბჭოს ფიზკულტურის კოლექტივების გუნდურ შეჯიბრებაში. II-III ადგილები გაიყვეს გურჯაანის სოფლმშენის № 4 ტრესტისა და გაზიფიკაციის № 2 ტრესტის გუნდებმა.

გ. სირბილაშვილი.

# ირანში შეხვედრამდე...

ბევრჯერ მიასპარეზია ბათუმის საცურაო აუზში, მაგრამ ამდენი მაყურებელი არასოდეს მინახავს. ტარდებოდა საქართველოს და ირანის მოცურავეთა და წყალბურთელთა ამხანაგური შეხვედრები. შეჯიბრებისადმი ადგილობრივ გულშემატკივართა ინტერესი იმახაც გააღვივა, რომ ირანელებს ცალ-ცალკე ხვდებოდნენ ბათუმის „გახთიადისა" და აჭარის წყალბურთელთა ნაკრები გუნდები. განთიადელებმა იმედი გაუწბილეს თავიანთს გულშემატკივრებს. ირანელებთან მათი ბრძოლა პირველ სამ პერიოდში თანაბრად წარიმართა. ამ დროს ანგარიშიც თანაბარი (5:5) იყო, მაგრამ გადამწყვეტ, მეოთხე პერიოდში ირანელებმა კიდევ სამჯერ შეარხიეს ბათუმელთა კარის ბადე და გაიმარჯვეს კიდეც — 8:5.

სხვათა შორის, ირანელთა გუნდში თამაშობდნენ ძმები ბახრამ და ჩახანგირ ტავაკოლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თბილისისა და ბათუმის მატჩებში. სტუმართა შორის საუკეთესო ბომბარდირები სწორედ ეს ძმები იყვნენ. მათს ანგარიშზე შესაბამისად 9 და 7 ბურთი მოდის.

მომდევნო შეხვედრებში თბილისის „დინამომ" გაიმარჯვა ანგარიშით 11:1, ხოლო აჭარის ნაკრებმა — 7:4.

...საერთოდ, საქართველოს იმ წყალბურთელების აზრით, რომლებიც შარშანწინ ირანელებს თეირანში შეხვდნენ, სტუმრების თამაშის კლასი საგრძნობლად ამაღლებულა. განსაკუთრებით აღნიშნავენ ირანელთა მოულოდნელ დარტყმებს კარში.

...ასპარეზობის მსვლელობისას და შემდეგაც ხშირად ნახავდით ირანელ მოცურავეთა და წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელს მ. რაშიდფურს ჩვენს მწვრთნელებთან. იგი უამრავ შეკითხვას აძლევდა მასპინძლებს, აინტერესებდა საქართველოს მოცურავეთა და წყალბურთელთა წვრთნის მეთოდიკა, ვარჯიშის ინტენსივობა, ცურვის ტექნიკა... სტუმრებმა სულ მოკლე ხანში ექვსი შეხვედრა ჩაატარეს მასპინძელ წყალბურთელთა სხვადასხვა გუნდთან, მაგრამ მზად იყვნენ კიდევ ეთამაშათ, დაღლას არ დაგიდევდნენ, ოღონდ კი რაც შეიძლება მეტი ესწავლათ.

— წლეულს აზიის სპორტული თამაშებისთვის ვემზადებით. მასპინძლები ვიქნებით და გულით გვინდა გავიმარჯვოთ. ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ვითამაშოთ, — გვითხრა ირანის დელეგაციის ხელმძღვანელმა ხ. ამინიმ.

— რას გაძლევთ ჩვენს მოცურავეებთან და წყალბურთელებთან შეხვედრები?

— ძალიან ბევრს. ჩვენთვის დიდად სასარგებლოა საქართველოს ნაკრების წევრ მოცურავეებთან და წყალბურთელებთან შეხვედრები. ამასთან, მეგობრებიც შევიძინეთ.

— რა კეთდება თქვენში ცურვისა და წყალბურთის განვითარების მიზნით?

— ამ მიზნით კვლავ გავაგრძელებთ ტრადიციულ შეხვედრებს თქვენს სპორტსმენებთან. განზრახული გვაქვს უცხოეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან მატჩების გამართვაც. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას წლეულს მოვაწყობთ ირანში, სადაც დასავლეთ გერმანიის, ბელგიის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენებთან ერთად საქართველოს მოცურავეები და წყალბურთელებიც გამოვლენ.

ცურვისა და წყალბურთის განვითარების მიზნით თეირანში ვაშენებთ დიდ საცურაო აუზს. მას ოთხი აბაზანა ექნება მოცურავეების, წყალბურთელებისა და წყალში მხტომელებისთვის. აუზის ტრიბუნები 5000-ზე მეტ მაყურებელს დაიტევს და ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მსოფლიოში.

— თქვენს გუნდში ორი გოგოხაა ფირუზაბადიანი და მუაზაზი. პირველ სამატჩო შეხვედრაში, 1970 წელს კი ნაკრებში არც ერთი ქალი არ გყავდათ. რა მდგომარეობაა ამჟამად თქვენში ქალთა შორის ცურვის განვითარების მხრივ?

— არცთუ დიდი. ხნის წინათ აუზში ქალის გამოჩენა სასირცხვილოდ ითვლებოდა ირანში. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ქალები სულ უფრო ხშირი სტუმრები არიან საცურაო აუზებისა. საერთოდ, პოპულარობის მხრივ ცურვა ირანში სპორტის სახეობათა შორის დაახლოებით მეოთხე ადგილზეა.

— თბილისსა და ბათუმში თქვენმა მოცურავეებმა შვიდჯერ გააუმჯობესეს ირანის რეკორდები. ალბათ კმაყოფილი ბრძანდებით.

— რა თქმა უნდა! ყველაზე დიდ წარმატებას ჰაზრათ აფშინმა მიაღწია. მან ირანის რეკორდებით ორი მეორე ადგილი მოიპოვა 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.14,6 და 2.44,3). ბათუმში ირანის რეკორდი დაამყარეს, აგრეთვე, თავისუფალი სტილით 4X100 მეტრზე ცოასპარეზე ვაჟებმა ჰეიდარ შოხჯახმა, ჰაზრათ აფშინმა, ჯავად მულაყიმ და ჰოსეინ ნასიმ. მათი შედეგია 4.10,5 (დანარჩენ მიღწევებზე ჩვენ უკვე ვწერდით. — ა. გ.).

საერთოდ, ირანელთა დღევანდელი მაჩვენებლები მათს მიერ 1970 წელს ნაჩვენებ შედეგებზე ბევრად მაღალია, ჩვენი მოცურავეები კი ამ ხნის მანძილზე მაინცდამაინც შორს არ წასულან. საკმარისია ითქვას, რომ ბათუმის აუზში მათ არც ერთი რეკორდი არ დაუმყარებიათ. იქნებ ეს იმანაც გამოიწვია, რომ გამარჯვებისთვის ნაჩვენები შედეგებიც ჰყოფნიდათ.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.



ირანის დელეგაციის ხელმძღვანელი ხ. ამინი (მარჯვნივ) ესაუბრება საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ლ. იოაკიმიდის.



ირანელი მოცურავეებისა და წყალბურთელების მწვრთნელი მ. რაშიდფური თავის აღსაზრდელებთან (მარცხნიდან): ჰ. შონჯანთან, ა. ჰაზრათთან, ჯ. მუთაყისთან და ჰ. ნასიმთან ერთად.



ფინალში მოცურავეთა სტარტი.

[illegible] ფოტოები.

# ნახევარფინალში გავიდნენ

**პრაღა, 17 აპრილი.** აქ გაიმართა ევროპის მოზარდ ფეხბურთელთა ჩემპიონატის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკიელებმა შეძლეს მატჩის მოგება (2:1), ნახევარფინალში გავიდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებსაც პირველი მატჩი ერევანში მოგებული ჰქონდათ დიდი ანგარიშით — 6:0.

ახლა საბჭოთა ნაკრები უნგრეთ — ჰოლანდიის გუნდებს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

## მინდორზე — ჭაბუკები

**მაგდებურგი, 17 აპრილი.** გდრ-ის მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა — განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში აქ ანგარიშით 2:1 (0:0) სძლია იტალიის გუნდს. ნახევარფინალში გერმანელები პოლონელებს ეთამაშებიან.

**კანი, 17 აპრილი.** ჭაბუკთა გუნდების აქ გამართული ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ბრაზილიელთა გამარჯვებით დამთავრდა. ფინალში მათ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ჰოლანდიელები. ტურნირში რვა სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ბ.-11 | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 2 | 2 | 0 | 0 | 4—0 | — | 4 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 2 | 2 | 0 | 0 | 4—0 | — | 4 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 2 | 2 | 0 | 0 | 5—2 | — | 4 |
| „დინამო“ (მინსკი) | 2 | 2 | 0 | 0 | 6—4 | — | 4 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 | — | 3 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 | 3—3 | 3 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3—3 | 3 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 2 | 1 | 0 | 1 | 5—5 | — | 2 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | — | 2 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 1 | 0 | 1 | 0 | 1—1 | — | 1 |
| „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) | 1 | 0 | 1 | 0 | 1—1 | — | 1 |
| „ტავრია“ (სტავროპოლი) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 3—3 | 1 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 3—3 | 1 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 2 | 0 | 1 | 1 | 2—3 | — | 1 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 2 | 0 | 1 | 1 | 3—5 | — | 1 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 2 | 0 | 1 | 1 | 2—4 | — | 1 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 2 | 0 | 0 | 2 | 1—3 | — | 0 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 2 | 0 | 0 | 2 | 1—4 | — | 0 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—4 | — | 0 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—4 | — | 0 |

შენიშვნა: თ. — თამაშების რაოდენობა, მ. — მოგება, ფ. — ფრე, აგრეთვე, დამატებითი პენალტებით მოგებული მატჩები, ბ. — ძირითად დროში გატანილი ბურთები, ბ-11 — დამატებითი პენალტებით გატანილი ბურთები, ქ. — ქულები.

### II ლიგა
III ზონა

18 აპრილს გამართულ კალენდარულ შეხვედრებზე ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

#### „დინამო“ (ბათუმი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:0

ძველ მეტოქეთა მატჩს მაყურებელთა დიდი რაოდენობა დაესწრო, რომელთა მოლოდინი გამართლდა კიდეც — თამაში გამოდგა საინტერესო, დაძაბული, ორმხრივი იერიშებით აღსავსე.

ბათუმელებს პირველი წარმატება მოუტანა მე-12 წუთმა, როცა მათი ცენტრალური თავდამსხმელი ქიქავა პირისპირ აღმოჩნდა სტუმრების მეკარესთან და ზუსტად დაარტყა. „მერცხალმა“ მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხა. 3 წუთის მერე დუდარევს მიეცა საპასუხო გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ თავით დარტყმული ბურთი სულ მცირე მანძილით ასცდა კარს.

დინამოელთა თამაშში იგრძნობოდა მეტი დამაჯერებლობა, მეტი სიზუსტე გადაცემებისას. 28-ე წუთზე მათ კარგად გაითამაშეს ბურთი კუთხურიდან და დროზე შეუჩნია ადგილი ჩელებაძემ — 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისი კვლავ ბათუმელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები ჩელებაძემ, ქორიძემ, ბეჟანიძემ. შემდგომში ინიციატივას უკვე მახარაძელები დაეუფლნენ, რომლებსაც 79-ე წუთზე მიეცათ საპასუხო გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა და აქ თავი გამოიჩინა „დინამოს“ მეკარე პავლოვმა: მან შეძლო გოგოტიშვილის მიერ დარტყმული ძალიან ძნელი ბურთის აღება.

**გ. მურვანიძე.**

#### „კოლხეთი“ (ფოთი) — „ურალანი“ (ელისტა) 1:0

საკმაო ხანს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია რამდენადმე მაინც საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას. შემდეგ ფოთელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს. ბურჭულაძემ, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა ეს მატჩი, ბურთი გადააწოდა როხვაძეს, იგი გაექცა მცველებს, მიაწოდა ბურთი სახაიას და ანგარიში გაიხსნა.

მაგრამ ეს გამოდგა ერთადერთი გოლი ამ მატჩში, თუმცა კარის აღების შესაძლებლობა სხვაც ბევრი იყო. როგორც „კოლხეთის“, ისე „ურალანის“ თავდამსხმელებმა უზუსტობა გამოიჩინეს გადამწყვეტ მომენტებში, ტაიმის დასასრულს კი მეკარე მარინშა მძიმე ვითარებაში იხსნა მასპინძელთა კარი.

შესვენების შემდეგ ფოთელები უფრო მშვიდად და დაჯერებულად თამაშობდნენ, ისე, რომ სტუმართა მეკარე სინცოვს ხშირად უხდებოდა ბრძოლაში ჩაბმა.

**ზ. ბასილაია.**

#### „დილა“ (გორი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0

მატჩს კარგი ამინდი დაესწრო და ფეხბურთელებმა ცოცხლად, ტემპიანად ითამაშეს.

მინდორზე პირველივე წუთებიდან გაჩაღდა უშეღავათო ბრძოლა. 15 წუთის მანძილზე უპირატესობა სამტრედიელთა მხარეს იყო, შემდეგ გორელებმა მეთოდურად, თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და ახლა უკვე „ლოკომოტივის“ მცველებს მოუხდათ მძიმე დატვირთვის გადატანა.

მეორე ნახევარი „დილამ“ ძლიერი იერიშებით დაიწყო, გუნდში გამოირჩეოდნენ ბერიკაშვილი, ჭელიძე, ბუზალაძე, ბუძიშვილი... 49-ე წუთზე ბუზალაძემ საუკეთესო დარტყმით გახსნა ანგარიში, ცოტა ხანში კი მანვე კარგად გამოიყენა ბაქრაძის გადაცემა, ზუსტად დაარტყა კარში და რკინიგზელთა მეკარე კუნჭულიას მეორე ბურთის გამოტანა მოუხდა ბადიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სამტრედიელები იოლად არ შერიგებიან წაგებას, ბოლომდე ენერგიულად იბრძოდნენ (განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავდამსხმელი ბახტაძე), თუმცა ანგარიშში ცვლილების შეტანა ვერ მოახერხეს.

**ი. თევდორაშვილი.**

#### სხვა ქალაქებში

ასე დამთავრდა: „დინამო“ (ზუგდიდი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 0:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0, „დინამო“ (კიროვაბადი) — „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) 2:1, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 0:2, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ტორპედო“ (ვლადიმირი) 2:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (ვოლოგდა) (1:1).

## ფინალისტთა სამზადისი

WM 74

**სან-პაულუ, 17 აპრილი.** მსოფლიო ჩემპიონმა — ბრაზილიის ნაკრებმა რუმინეთის ეროვნულ გუნდთან აქ გამართული ამხანაგური მატჩის პირველ 25 წუთში გაიტანა ორი გოლი და გაიმარჯვა. ორივე ბურთი სტუმართა კარში ნახევარმცველ რიველინოს შესანიშნავი გადაცემების შემდეგ აღმოჩნდა. ჯერ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლეივინიამ გამოიჩინა თავი, მერე კი — მარცხენა გარემარბმა ედუმ.

**დორტმუნდი, 17 აპრილი.** მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისის პროგრამაში შედიოდა [illegible] ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა უნგრეთის ნაკრებთან. გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა — 5:0 (1:0). უნგრელთა კარში ბურთები გაიტანეს მიულერმა, კრემერსმა (2-2) და ვიმერმა.

**ლიეჟი, 17 აპრილი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა — პოლონეთის ნაკრებმა აქ ფრედ (1:1) ითამაშა ბელგიის ეროვნულ გუნდთან. ანგარიში შესვენებამდე ბელგიელმა ვან მურმა გახსნა, მეორე ტაიმში კი პოლონეთის ნაკრების ნახევარმცველმა დეინამ საპასუხო ბურთი გაიტანა. მანამდე პოლონელებმა შტუტგარტში (გფრ) წააგეს ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 1:4.

**როგორც** ვიუწყებოდით, ჰაიტის ფეხბურთელთა ნაკრების მესვეურებმა ამხანაგური საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად ჩემპიონატის ჯგუფში თავიანთი მეტოქეები — პოლონეთის ფეხბურთელები მიიწვიეს. მასპინძელ ქვეყანას პოლონეთის მეორე ნაკრები ესტუმრა, რომელმაც ორი მატჩი გამართა. პირველ შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს (2:1), მეორეში კი — სტუმრებმა (8:1).

## თასები, თასები...

### გფრ

მიუნჰენის „ბაიერნმა“ თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი წააგო მაინის ფრანკფურტის „აინტრახტთან“ — 2:3.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ ანგარიშით 1:0 სძლია ოფენბახის „კიკერსს“.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „აინტრახტი“ და „ჰამბურგერ შპორტფერაინი“.

# ლუჟნიკში ხუთჭიდის ოსტატებიც გამოვლენ

**თანამედროვე** ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციამ (უიპმბ) დიდი ნდობა გამოუცხადა საბჭოთა სპორტულ ორგანიზაციებს, როცა მათ დაავალა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება ორივე ამ სახეობაში. მინსკში ჩატარებული ბიატლონისტთა ჩემპიონატი ძალიან მოეწონათ უიპმბ-ის მესვეურებსაც, სპეციალისტებსაც, სპორტსმენებსაც და შეჯიბრებაზე თავმოყრილ 147 ჟურნალისტსაც. წინაა თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც მოსკოვში ჩატარდება ზაფხულის დამლევს და შემოდგომის დამდეგს (31 აგვისტო-4 სექტემბერი).

ამჯერად საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში მთელი მსოფლიოს ხუთი ღირსების რაინდები მეორედ მოიყრიან თავს. პირველი (რიგით მე-10, საიუბილეო) მსოფლიო ჩემპიონატი სსრ კავშირში 1961 წელს ჩატარდა.

წლევანდელი ასპარეზობა გამოირჩევა შემდეგი თავისებურებებით: ჯერ ერთი, შეჯიბრება ჩატარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში, უფროსებში და იუნიორებში, მეორეც, თანამედროვე ხუთჭიდის ისტორიაში ასპარეზობის ძირითადი ბაზა პირველად იქნება ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა წლების მანძილზე ბევრჯერ სცადა თანამედროვე ხუთჭიდის რეორგანიზაცია. ამ სახეობას ოლიმპიური პროგრამიდან ამოღების საფრთხეც კი ემუქრებოდა. 1961 წელს სოკ-ის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი უიპმბ-ის ხელმძღვანელობას უთითებდა:

„მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ხუთჭიდი თვით კუბერტენმა შექმნა და ეს სახეობა ყველა ოლიმპიადის პროგრამაში შედიოდა, დღეს სოკ-ი მას მეტად უარყოფითად მიიჩნევს. ასეთი დამოკიდებულების უპირველესი მიზეზია საცხენოსნო კროსის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სირთულე. ცხენოსნობა ხუთჭიდის აქილევსის ქუსლია, მისი მუხრუჭია, ვინაიდან ბევრ ქვეყანას ცხენების მხრივ ძალიან უჭირს. გარდა ამისა, საცხენოსნო კროსი ძალიან ძვირი ჯდება. ოლიმპიადის ორგანიზატორ ქვეყნებს მუდამ უჭირდათ საცხენოსნო შეჯიბრების მოწყობასთან დაკავშირებული დიდი ხარჯების გაწევა. ყოველივე ზემოთქმულის გამო, თუ გვსურს თანამედროვე ხუთჭიდი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დარჩეს, აუცილებელია ცხენოსნობა შეიცვალოს სხვა, უფრო შესაფერისი სახეობით“ (ლაპარაკი იყო... მოტოციკლზეც კი).

თანამედროვე ხუთჭიდი ამ საფრთხეს გადაურჩა მხოლოდ ენთუზიასტთა, პირველ ყოვლისა კი სსრ კავშირის, უნგრეთისა და შვეციის წარმომადგენელთა უდიდესი მონდომების წყალობით, აგრეთვე, უიპმბ-ის პრეზიდენტ ს. თოფელტის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაინც აუცილებელი გახდა ცხენოსნობაში პროგრამის რამდენადმე შეცვლა, პირველ ყოვლისა ორგანიზაციის გამარტივებისა და სახაზინო მხარის გაძლიერების ხარჯზე.

წარმოიდგინეთ, როგორ გაღარიბებდა თანამედროვე ხუთჭიდს, როგორ დაუკარგავდა მას თავისებურებას, მიმზიდველობას და რაღაც განსაკუთრებულ, ძნელად ასახსნელ რომანტიკულ მომხიბვლელობას პროგრამიდან ცხენოსნობის ამოღება.

ამასთან, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ხუთჭიდს შეიძლება მოდერნიზება და ახლა სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრების ჩატარება შესაძლებელი გახდა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტულ კომპლექსზეც კი.

ამჟამად ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ხუთჭიდის საკავშირო ფედერაციისა და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დახმარებით ზრუნავს, რომ ასპარეზობა უნაკლოდ ჩატარდეს და სპორტსმენებს წარმატებისთვის ყოველგვარი პირობები ჰქონდეთ.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ყველაზე დიდი დახურული სპორტული ნაგებობა — სპორტის სასახლე სამი დღის მანძილზე ხუთჭიდელთა განკარგულებაში იქნება. აქ მოეწყობა შეჯიბრების საზეიმო გახსნა (30 აგვისტოს), იუნიორების (31 აგვისტოს) და უფროსების (1 სექტემბერს) შეჯიბრებები ფარიკაობაში. გარდა ამისა, მონაწილეები საწვრთნელ მეცადინეობებს სტადიონის დარბაზებში ჩაატარებენ.

ჩემპიონატის პირველ დღეს, როცა სპორტის სასახლის ფარიკაობის ბილიკი 9-10 საათის განმავლობაში იუნიორთა განკარგულებაში იქნება, ფეხბურთის საწვრთნელ მინდვრებზე მოწყობილ იმპროვიზებულ საკონკურო მოედანზე მათი უფროსი ამხანაგები ერთმანეთს შეეჯიბრებიან წინაღობათა გადალახვაში. ასპარეზობის მეორე დღეს სპორტსმენთა როლები შეიცვლება: ახალგაზრდები ცხენოსნობაში ცდიან ძალას, უფროსები — საფარიკაო ბილიკზე.

შეჯიბრების სახეობათა ასეთი შეხამება და სპორტული ბაზების სიახლოვე ძალიან ხელსაყრელი იქნება არა მარტო ორგანიზატორებისთვის, ჟიურის წევრებისთვის, მწვრთნელებისთვის, სპორტსმენებისა და ჟურნალისტებისთვის, არამედ მაყურებლებისთვისაც.

ჩემპიონატისთვის სპორტული ცხენების (სპორტსმენები მათ კენჭისყრით გაინაწილებენ) მომზადება და ცხენოსნობაში წინასწარი წვრთნის ორგანიზაცია ნავარაუდევია „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „ტრუდის“, „უროჟაის“, „დინამოს“, ცსკა-ს მოსკოვის საცხენოსნო-სპორტული კლუბების ბაზაზე.

ჩემპიონატის მესამე დღეს პისტოლეტის სროლაში შეჯიბრება მოეწყობა (უფროსებისთვისაც და იუნიორებისთვისაც) „დინამოს“ სასროლეთზე, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ბაზაა საბჭოთა კავშირში.

იქვე ჩატარდება წინასწარი საწვრთნელი მეცადინეობები. ეს იქნება ერთადერთი სახეობა, რომლის წარმომადგენლებსაც სარბიელამდე ავტოტრანსპორტით (ან ელექტრომატარებლით) მოუწევთ მგზავრობა დაახლოებით ნახევარი საათის გზაზე.

ცურვაში საწვრთნელი მეცადინეობებიც და შეჯიბრებაც ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში ჩატარდება, ძლეოსნური კროსი მოეწყობა ლენინის გორების მწვანე ფერდობებზე.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვა დანიშნულია 4 სექტემბრისთვის სტადიონის დიდ სარბიელზე.

მუშაობა უკვე გაჩაღდა. ჩატარდა საორგანიზაციო კომიტეტის ორი სხდომა, დამტკიცდა მთავარი მსაჯთა კოლეგია, ემბლემა და ჩემპიონატის აფიშა-რეკლამა. დადგინდა შეჯიბრების სამედიცინო მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა. ჩემპიონატის პრეს-ცენტრი მოეწყობა სპორტის სასახლეში. ჟურნალისტების განკარგულებაში იქნება თანამედროვე აღჭურვილობა.

სსრ კავშირის თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციამ უიპმბ-ის წევრ ყველა ქვეყანას გაუგზავნა მოწვევა და გააცნო შეჯიბრების ჩატარების პირობები.

წინასწარი მონაცემებით, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 23-25 ქვეყანა, რომელთა უმეტესობაც სრულ გუნდებს გამოიყვანს. მონაწილეთაგან უძლიერესთა ჯგუფში უნდა დავასახელოთ თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატები: კელემენი, ჰორვატი, მარაჩკო (უნგრეთი), კურჩე და კეტელი (ფინეთი), ვერნესი და ტადე (გფრ), ფოქსი (ინგლისი), უჩიდა (იაპონია), გუგენი (საფრანგეთი), აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონები ლედნიოვი, შმელიოვი და ონიშჩენკო (ყველა — სსრ კავშირი).

**ა. სოკოლოვი,**
სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

# სპასკი — კარპოვი 1:1

(1 ყაიმი)

სპასკი კარპოვის წინააღმდეგ! ამ მატჩს დიდხანს ელოდნენ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, პლანეტის ერთ-ერთი მოწინავე მოჭადრაკე ბორის სპასკი ხვდება საბჭოთა ჭადრაკის მოყვარულთა იმედს, ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიულ დიდოსტატს ა. კარპოვს. მათი შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევს. ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სასახლეში, სადაც პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი ტარდება, ნემსი არ ჩავარდება. პირველი ათი პარტიის ბილეთები სამ საათში დაიტაცეს. გაიყიდა ბილეთები... გადადებული პარტიების დამთავრებაზეც. პრეს-ცენტრში უკვე აკრედიტებულია 100 საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი. ყველა მოუთმენლად ელის ორთაბრძოლის შედეგს. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის დაწყებამდე ბორის სპასკიმ პროგნოზებისგან თავი შეიკავა. ანატოლი კარპოვმა განაცხადა: მე, ბუნებრივია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მსოფლიო პირველობის ეს ციკლი ჩემი ჯერ კიდევ არ არისო.

ვ. გალაკტიონოვი.
(ჩვენი კორ.).

ლენინგრადი.

* * *

**სურათებზე:** ა. კარპოვი და ბ. სპასკი თამაშობენ მატჩის პარტიას; მაყურებელთა დარბაზში; კულტურის სასახლის სალაროებთან გამოკრული ეს მოკლე განცხადება ნათლად მეტყველებს მატჩისადმი ჭადრაკის გულშემატკივართა ინტერესზე.

ავტორის ფოტოები.

ლენინგრადი. III პარტიაში ა. კარპოვმა თეთრებით თამაში ლაზიერის პაიკის წინსვლით დაიწყო. მეტოქეებმა ძველინდური დაცვა გაითამაშეს, რასაც, ჩვეულებრივ, მწვავე ბრძოლა მოჰყვება ხოლმე. დებიუტით კარპოვმა ტერიტორიული უპირატესობა მიიღო, მაგრამ ბ. სპასკის პოზიცია საკმაოდ საიმედო ჩანდა.

მეფის ფრთაზე კარპოვის პაიკთა შეტევა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ლაზიერის მანევრით გაანელა, მაგრამ უხეირო მე-19 სვლით კარპოვს ლაზიერების გაცვლისა და უპირატესობის მიღების შესაძლებლობა მისცა. თეთრების ინიციატივა სახიფათო შეიქნა. სპასკი ფიგურის შეწირვით თამაშის გართულებას შეეცადა, მაგრამ კარპოვმა ხარისხისა და პაიკის მოგება ამჯობინა. პარტია გადაიდო კარპოვის უპირატესობით.

მეორე დღეს, თამაშის განახლებისას, მეტოქეებმა მხოლოდ ათი სვლა გააკეთეს. შავების დაცვის ორგანიზების ცდა კარპოვმა ძალიან სწრაფად ჩაფუშა. 55-ე სვლაზე სპასკი დანებდა.

**კარპოვი — სპასკი**

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. მf3 0—0 6. კe2 c5 7. 0—0 კg4 8. d5 მbd7 9. კg5 a6 10. a4 ლc7 11. ლd2 ეae8 12. h3 კ:f3 13. კ:f3 e6 14. b3 მფh8 15. კe3 მg8 16. კe2 e5 17. g4 ლd8 18. მფg2 ლh4 19. f3 კh6 20. g5 კg7 21. კf2 ლf4 22. კe3 ლh4 23. ლe1 ლ:e1 24. ეf:e1 h6 25. h4 gh 26. hg მe7 27. a5 f6 28. ეeb1 fg 29. b4 მf5 30. კ:g5 მd4 31. bc მ:c5 32. ეb6 კf6 33. ეh1+ მფg7 34. კh6+ მფg8 35. კ:f8 ე:f8 36. ე:d6 მფg7 37. კd1 კe7 38. ეb6 კd8 39. ეb1 ეf7 40. მa4 მd3 41. მb6 g5 42. მc8 მc5 43. მd6 ეd7 44. მf5+ მ:f5 45. ef e4 (ჩაწერილი სვლა) 46. fe მ:e4 47. კa4 ეe7 48. ეbe1 მc5 49. ე:e7+ კ:e7 50. კc2 კd8 51. ეa1 მფf6 52. d6 მd7 53. ეb1 მფe5 54. ეd1 მფf4 55. ეe1, შავები დანებდნენ.

# პეტროსიანი — კორჩნოი 0:2

(1 ყაიმი)

ოდესა. ტ. პეტროსიანთან მატჩში ლიდერობს ვ. კორჩნოი ანგარიშით 2:0 (1 ყაიმი). მან III პარტიაში, ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, გამარჯვება მოიპოვა.

მეტოქეებმა კვლავ ინგლისური დაწყება გამოიყენეს, მაგრამ მხოლოდ პირველი ოთხი სვლა გაიმეორეს I პარტიიდან. შემდეგ ლენინგრადელმა დიდოსტატმა გადაუხვია გატკეპნილი გზიდან.

კორჩნოიმ იერიშისთვის პაიკი შესწირა. მაგრამ მალე, თეთრი ფიგურების შემოსევისგან თავის დაცვის მიზნით, პეტროსიანმა მეტოქის პაიკი უკან დააბრუნა და მსხვერპლად თავისიც გაიღო. მაგრამ ამან მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ბევრი ვერაფერი მისცა: კორჩნოი დამაჯერებლად და ზუსტად მოქმედებდა.

ბოლოს და ბოლოს მხარეთა მატერიალური შანსები გათანაბრდა, მაგრამ კორჩნოის დიდი პოზიციური უპირატესობა აღმოაჩნდა. პეტროსიანი წაგებას შეურიგდა თავის 51-ე სვლაზე.

**კორჩნოი — პეტროსიანი**

ინგლისური დაწყება

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 b6 4. e4 კb7 5. ლe2 c5 6. e5 მg8 7. d4 კ:f3 8. ლ:f3 მc6 9. d5 მ:e5 10. ლg3 d6 11. კf4 მg6 12. de fe 13. 0—0—0 მ:f4 14. ლ:f4 g6 15. ლe4 მf6 16. ლ:e6+ ლe7 17. ე:d6 ლ:e6 18. ე:e6+ მფf7 19. ეc6 ეc8 20. ე:c8 კh6+ 21. მფc2 ე:c8 22. კe2 ეd8 23. მფb3 ეd2 24. ეd1 მe8 25. ე:d2 კ:d2 26. მb5 a6 27. მc3 კ:c3 28. მფ:c3 a5 29. კd3 მf6 30. f4 მh5 31. g3 მf6 32. მფd2 მe8 33. g4 მd6 34. მფe3 მფe6 35. h4 მფf7 36. b3 მფg7 37. g5 მფf7 38. f5 gf 39. მფf4 მფg6 40. a4 მe4 41. კ:e4 fe 42. მფ:e4 მფh5 43. მფf5 მფ:h4 44. g6 hg+ 45. მფ:g6 მფg4 46. მფf6 მფf4 47. მფe6 მფe4 48. მფd6 მფd4 49. მფc6 მფc3 50. მფ:b6 მფ:b3 51. მფb5. შავები დანებდნენ.

გუშინ უნდა გათამაშებულიყო IV პარტია, მაგრამ ტ. პეტროსიანის ავადმყოფობის გამო იგი არ შედგა.









## ოქროს ჯილდოც და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც

**ბანგი, 17 აპრილი.** ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა კონტინენტის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა და მსოფლიო პირველობის საგზურიც მოიპოვა (ეს შეჯიბრება ივლისში გაიმართება პუერტო-რიკოში).

აფრიკის კონტინენტის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში მონაწილეობდა 10 გუნდი, რომლებმაც შესარჩევი თამაშების „საცერი“ გაიარეს. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებმა გადამწყვეტ მატჩში შარშანდელ ჩემპიონს — სენეგალის გუნდს აჯობა.

— სამოყვარულო კალათბურთის აფრიკის ფედერაციების ასოციაცია 1961 წელს შეიქმნა, — განაცხადა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ბ-ნმა აშრიმ. — თავისი არსებობის მანძილზე ასოციაციამ კონტინენტის ვაჟთა გუნდების 7, ხოლო ქალთა კოლექტივების 4 ჩემპიონატი მოაწყო, სამჯერ ჩატარდა აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება.

საზღვარგარეთის ამბები

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## სპორტულ ბაზაზე

**ხელბურთი.** კიროვის სახელობის პარკის მოედანი. **20-21 აპრილი.** „ა“ კლასის I ჯგუფის ქალთა გუნდების საკავშირო პირველობა. დღეს: „კოლოსი“ (ბერეგოვო) — „შვიესა“ (ვილნიუსი). დასაწყისი 12 ს. „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი“ (ერევანი). 13 ს. 10 წთ. „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე). 14 ს. 20 წთ. „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). 15 ს. 30 წთ.

### ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადა

**აკრობატიკა.** თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზი (მონტინის ქ. № 14). **20 აპრილი. დაბალთანრიგოსნების სავალდებულო პროგრამა.** დასაწყისი 15 ს.

**კალათბურთი. 20 აპრილი.** კალინინის რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (ენგელსის ქ. № 50). საშუალო ასაკის ჭაბუკთა გუნდების ფინალური შეხვედრები. 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლის დარბაზი (ბოჭორმის ქ. № 71). საშუალო ასაკის გოგონათა გუნდების ფინალური შეხვედრები. დასაწყისი 15 ს.

**ფრენბურთი.** თბილისის სპორტკომიტეტის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). **20 აპრილი.** საშუალო ასაკის გოგონათა გუნდები. **პირველი მაისის რაიონი — ოქტომბრის რაიონი.** დასაწყისი 15 ს. **კალინინის რაიონი — კიროვის რაიონი.** 15 ს. 30 წთ. **26 კომისრის რაიონი — ორჯონიკიძის რაიონი.** 16 ს. **ლენინის რაიონი — საქარხნო რაიონი.** 16 ს. 30 წთ. საშუალო ასაკის ჭაბუკთა გუნდები. **პირველი მაისის რაიონი — კიროვის რაიონი.** 15 ს. **კალინინის რაიონი — ორჯონიკიძის რაიონი.** 15 ს. 30 წთ. **ოქტომბრის რაიონი — 26 კომისრის რაიონი.** 16 ს. **საქარხნო რაიონი — ლენინის რაიონი.** 16 ს. 30 წთ.

**წყალბურთი.** „ლოკომოტივის“ აუზი (300 არაგველის ქ. № 1). **20-22 აპრილი.** დასაწყისი 15 ს.

**ჭადრაკი.** „ბურევესტნიკის“ საჭადრაკო კლუბი. **20 აპრილი. VI ტური.** დასაწყისი 15 ს. 30 წთ.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

20 აპრილს

სათადარიგო შემადგენლობანი

21 აპრილს

ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 18 საათზე.

წვიმიან ამინდში სათადარიგო შემადგენლობების თამაში გადატანილი იქნება.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება დღეს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში; საერთო გაყიდვა — დღეს და ხვალ 10 საათიდან.

ИНДЕКС 96118
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04563